ფრეთა ლიმიტი ამოიწურა

დონის როსტოვი. ასკ-ს სტადიონი. 17 აგვისტო.

ასკ (დონის როსტოვი) - “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1).

ასკ: რადაევი, გონჩაროვი, ანდრიუშჩენკო, იაშინი, ბონდარენკო, გუსევი, ბარკატოვი, ანდრეევი, სელინი, ბერდიევი (ვორობიოვი), ბობკოვი.

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, სულაქველიძე. ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფვიანი, შენგელია (კაკილაშვილი).

მსაჯი ა. კადეტოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:0.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ როსტოვის არმიელებმა უკვე კარგა ხნის წინ, მე-11 ტურის შემდეგ შეასრულეს უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის დაწესებულ ფრეთა ლიმიტი დამ ას შემდეგ იბრძვიან მხოლოდ გამარჯვებისათვის. სხვა შედეგი მათთვის არ არსებობს.

ამ მატჩში, შეასრულა ფრეთა ლიმიტი თბილისის “დინამომაც”, რომელსაც მხოლოდ უკანასკნელად შეეძლო ჩაეწერა ერთი ქულა გათამაშების ცხრილში. ამიტომ მოსალოდნელი იყო შეუპოვარი, დაძაბული ბრძოლა, რათა თამაში ფრედ არ დამთავრებულიყო. მოგება, მხოლოდ მოგება.

თბილისელთა რიგებს კვლავ რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე, ძირითადად - მცველები, რომელთა შეცვლა არც ისე იოლი საქმეა. ამას გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის უდიდესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვაც, რომელიც კოლექტივ ბოლო ხანებში დააწვა ზედიზედ ჩატარებული ოფიციალური მატჩების გამო.

მასპინძლებმა იერიშში თავიდანვე ჩართეს მთავარი ძალები, რამდენიმე კომბინაცია გაითამაშეს და მალე, მე-6 წუთზე, შედეგსაც მიაღწიეს: თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო, ანდრეევმა ზუსტად დაარტყა და ბურთი დინამოელთა ბადეში აღმოჩნდა - 1:0.

მე-17 წუთზე გატანილი იქნა საპასუხო გოლი. გარღვევაზე გავიდა ჭილაია, გადააწოდა ყიფვიანს, მან - დარასელიას და ანგარიშიც გათანაბრდა - 1:1.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, თამაშის ტემპი არ დამცხრალა ტაიმის დასასრულამდე. ორივე გუნდი სრული ძალით იბრძოდა შესვენების შემდეგაც. მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში ვერ შეძლო ვერც ერთმა მხარემ. თბილისელებმა თავიანთი ბოლო ფრე ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში, როსტოველებმა კი ვერაფერი მიუმატეს საკუთარ აქტივს.

ლელო 19.VIII.79